პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №---

ქ. ოზურგეთი --- თებერვალი 2023 წელი

ქალაქ ოზურგეთში გამსახურდიას მოედანთან
საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

მუხლი 1. ქალაქ ოზურგეთში გამსახურდიას მოედანთან (ს/კ.26.26.47.162) განთავსდეს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართის 3.27. **„გაჩერება აკრძალულია“** საგზაო ნიშანი, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად (სქემა თან ერთვის დანართის სახით).

მუხლი 2. ამ განკარგულების თანახმად დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია